საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი

საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი N1
(საფუძველი: ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 18 ივნისის N01-02/89 ბრძანება)

ქ. ბათუმი 09.07.2024 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

1. **თამარ სირაძე** - რექტორის მოადგილე, თავმჯდომარე;
2. **მადონა მიქელაძე** - ბსუ- ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორი, წევრი;
3. **ამირან შარაძე** - ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტის უფროსი, წევრი;
4. **ნათია ბურჭულაძე** - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,საბიბლიოთეკო საქმე" ხელმძღვანელი, წევრი;
5. **მამუკა გოგელია** - ბსუ- ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, მდივანი.

დღის წესრიგი:

1. 2024 წელს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრში ,,ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საბიბლიოთეკო საქმე" (IV დონე) მოსაწვევი პროფესიული განათლების მასწავლებელთა პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 18 ივნისის N01-02/89 ბრძანებით გამოცხადებული პროფესიული განათლების მასწავლებლის შესარჩევი კონკურსის მონაწილეთა საბუთების შესწავლა/შერჩევა.

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის პროფესორ თამარ სირაძის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ,,ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საბიბლიოთეკო საქმე" (IV დონე) მოსაწვევი პროფესიული განათლების მასწავლებელთა პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 18 ივნისის N01-02/89 ბრძანებით გამოცხადებულ პროფესიული განათლების მასწავლებლის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,საბიბლიოთეკო საქმე (მე-4 დონე) 2024 წლის 01 ივლისიდან 2024 05 ივლისის ჩათვლით სულ შემოვიდა 3 განცხადება.

კონკურსში მონაწილე პირები:

1. თინიკო ძირკვაძე;
2. ნათია დევაძე;
3. თამილა ქარცივაძე.

საკონკურსო კომისიის წევრები გაეცნო კონკურსანტების საბუთებს.
ყველა კონკურსანტის საბუთები აკმაყოფილებდა საკონკურსო პირობებს.

დაადგინეს:

1. კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საბუთები შესაბამისობაშია კონკურსის ძირითად პირობებთან;
2. კონკურსში მონაწილე პირები (თინიკო ძირკვაძე, ნათია დევაძე და თამილა ქარცივაძე) დაშვებული იქნას გასაუბრებაზე;
3. კონკურსანტებს ჩაუტარდეს გასაუბრება შემდეგი განრიგის მიხედვით:

პროფესიული განათლების მასწავლებელთა შესარჩევ კონკურსში მონაწილეთა გასაუბრების განრიგი

N	პრეტენდენტის სახელი და გვარი	გასაუბრების ჩატარების დრო	
		10 ივლისი 2024 წელი	
1	თინიკო ძირკვაძე	12:00	12:15
2	ნათია დევაძე	12:15	12:30
3	თამილა ქარცივაძე	12:30	12:45

გასაუბრების ჩატარების ადგილი: ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. N15, მე-6 კორპუსი, მე-3 სართული, ოთახი N305.

4. საკონკურსო კომისიის მდივანმა უზრუნველყოს კონკურსანტების ინფორმირება გასაუბრების განრიგის შესახებ CV-ში მითითებულ სატელეფონო ნომერზე ან/და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

კომისიის წევრები:

საკონკურსო კომიის თავმჯდომარე, რექტორის მოადგილე,
პროფესორი **თამარ სირაძე**

ბსუ- ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების
ცენტრის დირექტორი, ასოცირებული პროფესორი, წევრი **მადონა მიქელაძე**

ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტის უფროსი, წევრი **ამირან შარაძე**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,საბიბლიოთეკო საქმე"
ხელმძღვანელი, წევრი **ნათია ბურჭულაძე**

ბსუ- ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების
ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი,
სხდომის მდივანი **მამუკა გოგელია**